განმარტებითი ბარათი

"საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე.

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ცვლილებებიბის შეტანა საქართველოს კანონში "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" გამოწვეულია "ჯანმრთელობის საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, შესაბამისად იგი წარმოდგენილია საკანონმდებლო პაკეტის სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია "ჯანმრთელობის საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონპროექტით დარეგულირებული საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდში პარლამენტის წევრის არჩევის წესის განსაზღვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის თანახმად პარლამენტი 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული ფონდის ერთ წევრს პარლამენტის წევრთაგან, განსაზღვრულია კანდიდატურის წარდგენის წესი და განსაზღვრულია ამისათვის საჭირო უფლებამოსილი პირი.

კანონპროექტის თანახმად კანდიდატს (კანდიდატებს) კენჭი ეყრება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებამდე ცალ-ცალკე და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. განსაზრვრულია განმეორებითი კენჭისყრის წესი და პირობები, ასევე უფლებამოსილების შეწყვეტის წესი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დაფინანსებას არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს არ დაეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ იწვევს;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართულები იყვნენ ექპერტები და სპეციალისტები, აღნიშნულ რეფორმას მხარს უჭერს სამედიცინო დაწესებულებების, პროფესიული ასოციაციების, ექიმთა და პაციენთა უმეტესობა

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტის მიმართ რამდენიმე საექსპერტო შეფასება იქნა მიღებული, რაც გათვალისწინებულ იქნა კანოპნპროექტის დამუშავების დროს, თუმცა წარმოდგენლ ვარიანტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.